

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“
სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-16

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	444,620	528,133
არამატერიალური აქტივები		-	-
გაცემული სესხები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		444,620	528,133
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური			
ფასეულობები	7	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,193,183	1,474,262
სხვა მოთხოვნები	8	-	424,433
საგადასახადო აქტივი		57,774	42,176
ფული და ფულის ექვივალენტები	9	855,167	1,338,931
გადახდილი ავანსები		222,865	262,078
სხვა აქტივი		272,429	272,214
სულ მიმდინარე აქტივები		2,601,419	3,814,094
სულ აქტივები		3,046,038	4,342,228
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		98,952	1,483,647
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		1,384,695	95,620
სულ კაპიტალი		1,483,647	1,579,267
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	381,076	820,168
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		381,076	820,168
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			264,879
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,094,704	1,568,238
გადასახდელი ხელფასი		-	701
საგადასახადო ვალდებულებები		86,612	108,975
გადავადებული შემოსავალი			
გადასახდელი დივიდენდები			
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,181,316	1,942,792
სულ ვალდებულებები		1,562,392	2,762,961
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,046,038	4,342,228

ხელმოწერი პირები:

ე. აბუაძე
ელენე აბუაძეძე - მთავარი ბუღალტერი

ვახტანგ მაისურაძე - დირექტორი



01 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
შემოსავალი	12	6,060,714	8,688,433
გაცივებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(3,811,552)	(6,476,603)
საერთო მოგება/(ზარალი)		2,249,163	2,211,830
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(804,202)	(2,037,686)
სხვა შემოსავალი		-	-
სხვა საოპერაციო ხარჯი		(1,900)	(4,318)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		1,443,061	169,826
ფინანსური შემოსავალი			-
ფინანსური ხარჯი	10	(34,869)	(48,395)
ზარალი საკუროს სხვაობიდან		(2,305)	(43,186)
არასაოპერაციო ხარჯები		(21,192)	(19,697)
არასაოპერაციო შემოსავლები			-
სხვა შემოსავლები	15		54,720
მოგება დაბეგრამდე		1,384,695	113,267
მოგების გადასახადი			(17,647)
გადავადებული გადასახადის სარგებელი			
წლის წმინდა მოგება		1,384,695	95,620

ხელმომწერი პირები:

ელენე აბუაძე - მთავარი ბუღალტერი

ვახტანგ მაისურაძე - დირექტორი




01 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	-	1,483,646	1,483,646
მოგება წლის განმავლობაში		95,620	95,620
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი		-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	-	1,579,266	1,579,266

ხელმოწერი პირები:


ელენე აბზანდაძე - მთავარი ბუღალტერი


ვახტანგ მაისურაძე - დირექტორი

01 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

**შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერი**


ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	2018	2019
საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა	5,632,852	8,169,435
ზარალის ანაზღაურება	0	46,305
როიალტი, ჰონორარი, გადახდილი საკომისიო და სხვა შემოსავლები	30,063	19,041
მომწოდებლებზე გადახდილი სახსრები	(3,603,991)	(6,243,912)
გადახდილი ხელფასები	(639,592)	(1,028,052)
გადახდილი გადასახადები	(92,582)	(265,305)
კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით დადებული კონრაქტებიდან მიღებული სახსრები	0	0
ფულადი ნაკადები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	(384,636)	(614,663)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	942,112	82,850

ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/რეალიზაცია	(15,328)	(154,372)
არამატერიალური აქტივების შეძენა/რეალიზაცია	0	0
სხვა საწარმოს წილის შეძენა/რეალიზაცია	0	0
ფიზიკური, ფორმალური, ფინანსური და სხვა კონტრაქტების შეძენა/რეალიზაცია	0	0
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(15,328)	(154,372)

ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
აქციების და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	0	0
მესაკუთრეთათვის აქციების შეძენის ან გაყიდვის მიზნით გადახდილი თანხები	0	0
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგად მიღებული სახსრები	0	0
სესხიდან მიღებული სახსრები	0	1,740,509
სესხების დასაფარად გადახდილი თანხები	(76,786)	(1,160,560)
ფინანსური იჯარის შესამცირებლად გადახდილი თანხები	(24,215)	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(101,002)	579,949

წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	825,783	508,427
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(32,979)	(24,663)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	62,364	855,167
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	855,167	1,338,931

ხელმოწერილი პირები:


ელენე აბზანდაძე - მთავარი ბუღალტერი


ვახტანგ მაისურაძე - დირექტორი



01 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2015 წლის 19 მარტს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფიზიკური პირი, ალექსანდრე ჯაფარიძე წარმოადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა სახის გადაზიდვის მომსახურება ქვეყნის შიგნით და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო, თბილისი, დიდუბე ჩუღურეთის რაიონი, ბაქოს ქ. N7.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო/ლარი	3.2095	3.0701
100 რუბლი	4.6423	3.8588

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს, როგორც განვითარებად ბაზარს, არ აქვს იმდენად კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, როგორც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებს. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის ის, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს).

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე, საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით.

ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

"წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2019 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2019 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას."

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ფასს.

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
ოფისის აღჭურვილობა	5
შენობები	20
ავეჯი და ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან

სატრანსპორტო მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება ტრანსპორტირების დასრულების დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევსებების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის დეკემბერი

6. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
<i>ისტორიული ღირებულება</i>					
31 დეკემბერი 2018	261,725	62,583	2,098	169,735	496,141
შემოსვლა	-	263	6,141	145,557	151,960
გასვლა	-	-	-	(20,206)	(20,206)
31 დეკემბერი 2019	261,725	62,845	8,238	295,086	627,897
<i>დაგროვილი ცვეთა</i>					
31 დეკემბერი 2018	(12,463)	(10,430)	(338)	(28,289)	(51,521)
ცვეთის ხარჯი	(11,840)	(8,346)	(1,380)	(28,604)	(50,171)
გასვლა	-	-	-	1,930	1,930
31 დეკემბერი 2019	(24,303)	(18,777)	(1,719)	(54,963)	(99,762)
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
31 დეკემბერი 2018	249,262	52,152	1,759	141,446	444,620
31 დეკემბერი 2019	237,422	44,069	6,520	240,123	528,133

7. საქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-18	31 დეკ- 2019
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მცირეფასიანი ინვენტარი	-	-
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	-	-
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	0	0

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 249 522 ლარი. მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი, რომელიც ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-18	31 დეკ- 2019
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	1,193,183	1,474,262
სხვა მოთხოვნები		424,433
გადახდილი ავანსები		262,078
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,193,183	2,160,773

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-18	31 დეკ- 2019
თანხა ბანკში	5,271	33,730
თანხა სალაროში	849,896	1,305,201
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	855,167	1,338,931

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის დეკემბერი

10. სესხები

ორგანიზაცია	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა	1 იანვარი 2019	31 დეკ- 2019
სს ბაზისბანკი	21-06-2018	21-06-2023	11%	USD	458,030	-
სს თიბისი ბანკი	30-04-2019	25-04-2021	7,5%	USD	54,014	-
სს თიბისი ბანკი	30-04-2019	25-04-2024	7,5	USD	459,119	-
სს თიბისი ბანკი	05-07-2019	5-10-2021	7,5%	USD	42,096	-
სს საქართველოს ბანკი	31-10-2019	25-10-2023	5,8%	USD	1,185,280	1,103,317
სულ სესხები					2,198,539	1,103,317
ძირი					2,198,539	1,103,317
პროცენტი					204,311	252,706
					2,402,850	1,356,023

სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი 2019 წელს შეადგენს 48 ათას 395 ლარს (2018: 34 ათასი 869 ლარი)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2018	31-დეკ-2019
სავაჭრო ვალდებულებები	1,094,704	1,559,165
საგადასახადო და სხვა ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ	-	-
სახელფასო ვალდებულებები	-	701
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	-	-
სხვა ვალდებულება		9,073
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	1,094,704	1,568,939

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები.

12. შემოსავალი

შემოსავალი	2018	2019
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	6,060,714	8,688,433
სხვა შემოსავალი	-	54,720
სულ შემოსავალი	6,060,714	8,743,544

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2019 წლის დეკემბერი

13. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2018	2019
საბროკერო მომსახურება	525	893
საერთაშორისო გადაზიდვა	3,210,008	5,660,542
შიდა გადაზიდვა	37,117	167,857
ნებართვა	22,475	16,465
სატერმინალო მომსახურება	24,530	4,977
სხვა ხარჯი	43,458	96,941
კონტეინერის შენახვა	1,068	21
ფრახტი	4,085	-
ტვირთის დაზღვევა	2,602	10,850
მანქანის რემონტის ხარჯი	182,066	267,875
საწვავის ხარჯი	283,618	249,981
საბაჟოზე მომსახურების ღირებულება	-	-
ფოტო სერტიფიკატი	-	200
გზატარგებლობის გადასახადის ხარჯი	-	-
გაყიდული/შემენილი საქონელი	-	-
სულ თვითღირებულება	3,811,552	6,476,603

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2018	2019
შრომის ანაზღაურება	471,837	1,310,117
ხელფასზე გადახდილი საპენსიო დანამატი	-	25,457
იჯარა	64,129	41,116
საკანცელარიო ხარჯი	1,306	602
საოფისე ინვენტარი	423	2,372
სხვა ხარჯი	25,034	168,297
კომუნიკაციის ხარჯი	21,239	20,084
დაზღვევის ხარჯი	9,145	14,929
კომპიუტერის ხარჯი	381	-
საკონსულტაციო ხარჯი	21,242	59,395
მივლინების ხარჯი	189,391	340,578
რემონტის ხარჯი	75	272
სხვა საგადასახადო ხარჯი	-	4,298
ცვეთა და ამორტიზაცია	-	50,171
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	804,202	2,037,686

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

15. სხვა შემოსავალი

კომპანიას 2019 წელს ქონდა მხოლოდ ორი სახეობის სხვა შემოსავალი - შემოსავალი ზარალის ანაზღაურებიდან სადაზღვევო კომპანიის მიერ 46 ათას 305 ლარი (2018: 0 ლარი), მეორე კი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაყიდვის შედეგად 8 ათას 415 ლარი (2018: 0 ლარი)

16. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

17. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ჰქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განხორციელონ და შესაძლებელია, რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორც წარსულში არ ჰქონია ადგილი. შედეგად, შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

შპს „ტრანსპორტის მართვის საერთაშორისო კომპანია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის დეკემბერი

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

კორონა ვირუსის სწრაფმა გავრცელებამ, რომელიც პანდემიად იქნა გამოცხადებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოიწვია მნიშვნელოვანი არამდგრადობა, რომელიც გავლენას ახდენს გლობალურ ბიზნესსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე. იზრდება ალბათობა, რომ პანდემიისას განვითარებულმა მოვლენებმა და მისი შეკავების ღონისძიებებმა დიდი გავლენა იქონიოს ეკონომიკაზე და შესაძლოა გამოიწვიოს გლობალური რეცესია. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას და ინფექციის გავრცელების შესაძლო გავლენას კომპანიის საქმიანობაზე, კერძოდ, ბიზნეს მოდელზე, მომსახურების მიწოდებაზე, მომხმარებლებსა და სამუშაო კაპიტალზე, თუმცა ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოხსენებული ნეგატიური ფაქტორი არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.